MILLENNIUM BUILDERS GROUP LLC
Digitally signed by MILLENNIUM BUILDERS GROUP LLC
Date: 2020.01.20 19:02:20 -05'00'

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა № 01.01.08/30/091-3

*(22.08.2019 წლის №01.01.08/30/091 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ - **NAT190013824**)*

ქ. თბილისი 20 იანვარი 2020 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობა (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის- **გამგებლის ბექა მიქაუტაძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „მილენიუმ ბილდერს გრუპ“** („შემდგომში მიმწოდებელი"), წარმოდგენილი **დირექტორის გიორგი ბუტიკაშვილის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ზ/ა ხელშეკრულების მე-13 მუხლის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მხარეებს შორის 2019 წლის 22 აგვისტოს დადებული №01.01.08/30/091 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული **„ქ. თბილისში, გლდანის რაიონის ტერიტორიაზე, ხიზაბავრის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები“**-ს მიმდინარეობის პროცესში, საჭირო გახდა მიმწოდებლის მიერ შესრულებული საგზაო სამუშაოების ხარისხის, კერძოდ, კერნის ნიმუშების განმეორებითი შემოწმება, რაც მოითხოვს დამატებით დროს. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეტანილ იქნას ცვლილება ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში, კერძოდ:

1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადად განისაზღვროს 2020 წლის 20 თებერვალი, ნაცვლად 2020 წლის 20 იანვრისა, ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.3.1. სამუშაოების მიწოდების ვადა: სამუშაოთა წარმოების კორექტირებული კალენდარული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2020 წლის 20 თებერვალი“.

1.2 მიმწოდებელმა 10 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გაგრძელება არანაკლებ 2020 წლის 20 აპრილის ჩათვლით.

საფუძველი: *გლდანის რაიონის გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილის 20.01.2020 წ. 34-01200203699 მოთხოვნის წერილი.*

2. ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

3. წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელისმოწერის დღიდან, წარმოადგენს მხარეთა შორის 2019 წლის 22 აგვისტოს დადებული #01.01.08/30/091 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია ელექტრონულად.

5. **მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:**

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის	**შპს „მილენიუმ ბილდერს გრუპ“**
გლდანის რაიონის გამგეობა	მის: ქ. თბილისი ჭოპორტის 2
მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. #1ბ	ს/კოდი: 400118047
ს/კოდი: 209466843	ბანკი: სს საქართველოს ბანკი
ქ. თბილისი, `სახელმწიფო ხაზინა“	ბანკის კოდი: BAGAGE22
კოდი TRESGE22	ა/ა GE15BG0000000821705000
ა/ა GE24NB0330100200165022	ტელ. +995599898585
ტელ. +995 32 2 381 980	
პირველადი სტრუქტურული ერთეულის	
ხელმძღვანელი (გამგებელი)- ბექა მიქაუტაძე	**შპს დირექტორი - გიორგი ბუტიკაშვილი**
---	---

ადრესატი:

ბექა მიქაუტაძე
გლდანის რაიონის გამგეობა-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გამგებელი)

წერილის ნომერი:**34-01200203699**
თარიღი: **20/01/2020**

ბატონო ბექა,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობასა და შპს „მილენიუმ ბილდერს გრუპ“-ს შორის 22.08.2019 წლის № 01.01.08/30/091 ხელშეკრულების საფუძველზე მიმდინარეობს ხიზაბავრის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. აღნიშნულ ქუჩაზე ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიამ შპს „მილენიუმ ბილდერს გრუპ“-ის მიერ მოწყობილი წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის ხარისხის დადგენის მიზნით, 15.01.2020 წელს განახორციელა შესაბამისი ლაბორატორიული კვლევები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ მოწყობილი წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონი არ შეესაბამება ნორმით განსაზღვრულ მაჩვენებლებს. შპს „მილენიუმ ბილდერს გრუპ“-მა გლდანის რაიონის გამგეობას მომართა განცხადებით (№10/01200173088-34), გაგვეწია შუამდგომლობა ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიასთან, რათა ხიზაბავრის ქუჩაზე ჩატარებული სამუშაოების გადამოწმების მიზნით განმეორებით განხორციელდეს კერნის ნიმუშების შემოწმება. კონტრაქტორ კომპანიას აღნიშნული შუამდგომლობა (№34-01200173705) გაეწია მ/წლის 17 იანვარს.

ვინაიდან, შპს „მილენიუმ ბილდერს გრუპ“-თან 22.08.2019 წელს გაფორმებული № 01.01.08/30/091 ხელშეკრულების მიწოდების საბოლოო ვადად განსაზღვრულია 20 იანვარი და ლაბორატორიული კვლევის სრულყოფილად ჩატარებისთვის საჭიროა გარკვეული პერიოდი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, №01.01.08/30/091 ხელშეკრულების მიწოდების საბოლოო ვადად განსაზღვრულ იქნას 20 თებერვალი, ნაცვლად 20 იანვრისა. შესაბამისად, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის გაყოფილებას 22.08.2019 წელს გაფორმებულ № 01.01.08/30/091 ხელშეკრულებაში შეიტანოს აღნიშნული ცვლილება.

პატივისცემით,

ლევან ნაროუშვილი

გლდანის რაიონის გამგეობა-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე(გამგებლის მოადგილე-ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის მიმართულებით)